პრესრელიზი

2015 წლის 23 ივლისს 11 საათზე **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“** პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ პრეზენტაციას გამართავს.

პროექტის მთავარი მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

პროექტის ფარგლებში „ინტელექტი“ აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებულ სოციალურ სახლებში მცხოვრები ეკომიგრანტების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მექანიზმებს შეიმუშავებს; მიგრანტების სტიქიური ჩასახლების ადგილებში ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებას, მათ რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს; დაუჭერს მხარს დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტების (მათ შორის ქალების) ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა დაიწყონ ბიზნესი საქართველოში, ჩაერთონ საკუთარი მუნიციპალიტეტებისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

მისამართი: დაბა შუახევი, გამგეობის საპატიო დარბაზი.

<u>**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**</u>

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. # 13
ტელ.: 241640; 241650; 599 18 50 98
ელ. ფოსტა: teona@intellect.org.ge
საკონტაქტო პირი: **თეონა კაკაციძე**

პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის მხარდაჭერით